



ჩატვაბის, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი საქართველოში

ფოტო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია

გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე (2000 წ.) და მისი შემდგომი ცხრა რეზოლუციის მიღების შემდეგ, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქალთა ჩატულობაზე მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ძალისხმევაში. 2011 წლიდან, ზედიზედ მიღებული ოთხი ეროვნული სამოქმედო გეგმის მეშვეობით, საქართველომ შესამჩნევი წინსვლა განიცადა, რაც დასტურდება 2023 წლის გაუმჯობესებული რეიტინგით ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ინდექსში.¹ ბევრი სასიკეთო ცვლილების მიუხედავად, ჟერ კიდევ რჩება ისეთი გამოწვევები, როგორიცაა ქალების აღქმა შემცირებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების

შესახებ. ცალკე ბიუჯეტის გამოყოფით, უახლესი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2022-2024) იმ ინიციატივებისთვის ქმნის პრეცედენტს, რომლებიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებული (დევნილი) და კონფლიქტით დაზარალებული ქალების პირობების გაუმჯობესებას და მათი როლის გაზრდას მშვიდობისა და უსაფრთხოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში კრიტიკულად დაბალ დონეზეა, ხოლო დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალები ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფად რჩებიან.

საქართველოში საგრძნობლად დაბალია ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში.

იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში ქალები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამუშაო ძალის ნახევარს შეადგენდნენ (2021 წელს 51 პრცენტი), 2022 წელს ქალებს საჯარო სამსახურში გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობების მხოლოდ **38%** ეკავათ.²

საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალების წარმომადგენლობა მხოლოდ **7%** იყო 2022 წელს.³

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2022 წელს ქალებს ხელმძღვანელი თანამდებობების მხოლოდ **6.1%** ეკავათ (დიაგრამა 1).⁴

დიაგრამა 1:

ქალების წილი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე უსაფრთხოების სექტორში (პროცენტი)



გარდა ამისა, კრიტიკულად დაბალია ქალების ჩართულობა კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო პროცესებში, რაც ხშირად ზღუდავს მათი პერსპექტივების გაზიარების შესაძლებლობას როგორც უნივერსი-

საერთაშორისო მოლაპარაკებებში (დიაგრამა 2), ასევე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (დიაგრამა 3).


დიაგრამა 2:

ქართველი მონაწილეების რაოდენობა უნივერსიტეტებში საერთაშორისო მოლაპარაკებებში მოლაპარაკების რაუნდის და სქესის მიხედვით, 2019-2024 წწ.



დიაგრამა 3:

ქართველი მონაწილეები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში წლების და სქესის მიხედვით (პროცენტი)



შენიშვნა: 2020 წლიდან 2022 წლამდე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა იყო COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო.




მეტიც, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სახალხო დიპლომატიაში; კერძოდ, 2021 და 2022 წლებში ასეთი ინიციატივების მხოლოდ 16% ქანხორციელდა ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ან ქალთა საკითხებზე იყო ფოკუსირებული.⁵

დევნილები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი პარაგვა საქართველოში, რომელის სიღარიბის და უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა პარაგვაბის, ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოში ბევრი დევნილია (მათი რაოდენობა 290,257-ს შეადგინდა 2021 წლის მონაცემებით), რომელთაგან 53 პროცენტი ქალია. ამას გარდა, 46,620 ადამიანი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის

გასწვრივ ცხოვრობს.⁶ გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ANOVA-ს მიერ 2023 წელს შესრულებული კვლევა ხას უსვამს, რომ დევნილი ქალები განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკურ სირთულეებს განიცდიან,⁷ ისეთებს როგორიცაა:




მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ქალები ზოგადად ინფორმირებული არიან ჰანდაცვის პროგრამების შესახებ, მნიშვნელოვანი ბარიერების გამო ისინი ყოვლისმომცველი ჰანდაცვის სერვისების მიღებას ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით კი მათ მკურნალობის და სამედიცინო ხარჯების დაფარვა უჭირთ. გარდა ამისა,

ოჯახური ძალადობა, რომელიც ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას მოიცავს, კვლავ დიდ გამოწვევად რჩება დევნილი ქალებისთვის. ამას ემატება ისეთი სხვა კრიტიკული საკითხები, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, უმუშევრობა და კანმრთელობის პრობლემები.⁸

იძულებით გადაადგილებული ქალების მონაცილეობა კონფლი- ქტების ტრანსფორმაციის, შერიგებისა და სამშვიდობო პროცე- სებში ძალიან დაბალია.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ANOVA კვლევის თანახმად, მხოლოდ:





25%

ფიქრობს, რომ მათ იდეებს და მოსაზრებებს სერიოზულად არ იღებენ.

შემაშფოთებელია, რომ კვლევის მონაწილეთა, **95%** თვითონ არასდროს ყოფილა ჩართული კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. დევნილი ქალები სხვადასხვა ბარიერის, მათ შორის, იმედის არქონის,

ინფორმაციის და ცოდნის ნაკლებობის, ფინანსური შეზღუდვებისა და დაუცველობის შეგრძნების გამო ვერ ახერხებენ ამ პროცესებში მონაწილეობას (დიაგრამა 4).¹⁰

დიაგრამა 4:

ბარიერები, რის გამოც დევნილი ქალები ვერ ახერხებენ მონაწილეობის მიღებას კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში (რესპონდენტთა პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ANOVA. 2023 წ.

ძირითადი რეკომენდაციები საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების წასრიგის განხილვისთვის

- **ქალთა ლიდერობის ხელშეწყობა მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში:** მისამიმართული რეკრუტირების, შენარჩუნების და კარიერული წინსვლის ინიციატივების დაწყება, რათა გაიზარდოს ქალთა როლი გადაწყვეტილების მიღებასა და ლიდერობაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში.
- **დევნილი ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო პროცესებში:** საინფორმაციო და ჩართულობის სტრატეგიების გაუმჯობესება, რათა დევნილი ქალები ინფორმირებულები იყვნენ და შეძლონ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, შერიგებასა და მშვიდობის აღმშენებლობაში, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის გზით.
- **დევნილი ქალების სპეციფიკური და დიფერენცირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება:** ყოვლისმომცველი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ფოკუსირებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევების პრევენციაზე და მათზე რეაგირებაზე, ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულ საარსებო საშუალებებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე წვდომა, ზანდაცვის სერვისების მისაწვდომობა და ინფორმირებულობის ამაღლება დევნილი ქალების უფლებების და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, რითაც შესაძლებელი გახდება დევნილი ქალების წინაშე არსებული განსაკუთრებული გამოწვევების დაძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- კორკთაუნის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი (GIWPS) და PRIO-ს გენდერის, მშვიდობისა და უსაფრთხოების ცენტრი. 2023, ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების ინდექსი 2023/24წ.: მდგრადი მშვიდობის მიკვლევა ქალთა ინკლუზიის, მართლმსაჭილების და უსაფრთხოების გზით. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: GIWPS და PRIO, გვ. 124., ხელმისაწვდომია: <https://giwps.georgetown.edu/wp-content/uploads/2023/10/WPS-Index-full-report.pdf>.
- საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თბილისი: სახალხო დამცველი, გვ. 199.
- იქვე.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2021 და 2022 წ. „შსს-ში თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილები“. ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/6204fb84ef816.pdf>.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. 2023 წლის 25 ივლისით დათარიღებული ოფიციალური წერილი #1341-1-2- 202307251412.
- საქსტატი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). „გენდერული სტატისტიკის პორტალი“. ხელმისაწვდომია: <http://gender.geostat.ge/gender/index.php> (იხილეთ: სოციალური დაცვა).
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ANOVA. 2023. იქულებით გადაადგილებული ქალების აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევა კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე, შერიგებასა და მშვიდობის მშენებლობაზე | Publications | გაეროს ქალთა ორგანიზაცია – საქართველო (unwomen.org)
- იქვე.
- იქვე.
- იქვე.